პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

11 ოქტომბერი, სამშაბათი, 1988 წ.
№ 195 (9862) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

მატჩი ჭადრაკში მსოფლიო პირველობაზე მაია ჩიბურდანიძესა და ნანა იოსელიანს შორის

მეშვიდე პარტია

მ. ჩიბურდანიძე — ნ. იოსელიანი

კარო-კანის დაცვა

1. e4 c6 2. d4 d5 3. მc3 de 4. მ:e4 მd7 5. კc4 მgf6 6. მg5 e6 7. ლe2 მb6 8. კd3 h6 9. მ5f3 c5 10. dc კ:c5 11. კd2 ლc7 12. 0-0-0 0-0 13. მe5 მbd7 14. f4 b6 15. მgf3 კb7 16. ეhf1 ეac8 17. მფb1 კd6 18. მ:d7 ლ:d7 19. g4 ლa4 20. g5 hg 21. fg მd5 22. g6 მf4 23. კ:f4 ლ:f4 24. მd4 ლe5 25. gf+ ე:f7 26. კh7+ მფ:h7 27. ე:f7 კe4 28. ლg4 კg6 29. ეf3 ლe4 30. ლ:e4 კ:e4 31. ეe3 კg6 32. ე:e6 კc5 33. მb3 კe3 34. მa1 კf4 35. ეf1 კh6 36. ეe2 კh5 37. ეg2 ეe8 38. მb3 კf3 39. ეgf2 კd5 40. მc1 ეe3 41. მd3 კc4.

ამ პოზიციაში პარტია გადაიდო. მეორე დღეს პრეტენდენტმა თამაშის განუახლებლად თავი დამარცხებულად სცნო. მსოფლიო ჩემპიონს ჩაწერილი ჰქონდა 42. ეe1 სვლა.

ისე როგორც წინა პარტიებში, ამჯერადაც შავებით მოთამაშე ნანა იოსელიანმა კარო-კანის დაცვას მიმართა. მსოფლიო ჩემპიონმა ამ მატჩში პირველად ითამაშა 3. მc3, მიუხედავად ამისა, მეტოქეებმა პირველი თორმეტი სვლა სწრაფად გაითამაშეს. ამის გარდა, სხვადასხვა მხარეს გააკეთეს როქი და როგორც ასეთი სახის პოზიციებს სჩვევიათ ხოლმე, პარტიამაც მძაფრი ხასიათი მიიღო. ნანამ მიტელშპილში პოზიციური შეცდომები დაუშვა და ინიციატივას მთლიანად მსოფლიო ჩემპიონი დაეუფლა 22. g6 სვლის შემდეგ შავების პოზიცია მძიმე იყო. პრეტენდენტი იძულებული შეიქნა ხარისხი დაეთმო, რამდენიმე სვლაში პაიკიც დაკარგა. საბოლოოდ პარტია გადაიდო, სადაც მსოფლიო ჩემპიონის გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა და მართლაც, მეორე დღეს გადადებული პარტიის დამთავრებისას პრეტენდენტმა, როგორც უკვე ვთქვით, თამაში აღარ განაახლა.

ამრიგად, 7 პარტიის შემდეგ დაწინაურდა მსოფლიო ჩემპიონი — 4:3.

მომდევნო მერვე პარტია რეგლამენტით დღეს უნდა გათამაშდეს.

თამარ ხუგაშვილი,
ტელეფონით, „ლელოს" სპეც. კორ.

ახალგაზრდული პრესის პირველი საერთაშორისო ფესტივალის მონაწილეებს, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის უძველეს უბანში — რიყეში დაბანაკდნენ, არაერთი დასამახსოვრებელი შეხვედრა ჰქონდათ. მაგრამ მათ შორის ყველაზე გამორჩეულარდ, ალბათ, ქართველი ოლიმპიელების სტუმრობის ხიბლი გაჰყვებათ თან.

გთავაზობთ თამაზ ბიბილურის მიერ ფირზე აღბეჭდილ ამ შეხვედრების ამსახველ ერთ-ერთ მომენტს: საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვიქტორ მირონენკო XXIV საზაფხულო ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებთან და პრიზიორებთან—(მარჯვნიდან) ნინო სალუქვაძესთან, ვლადიმერ გოგოლაძესთან, გელა კეტაშვილთან და ვახტანგ იაგორაშვილთან ერთად.

ბარსელონამ მხტაფმტა ჩაიბარა

ოთხი წლის შემდეგ ესპანეთის ერთ-ერთ ყველაზე დიდ ქალაქ ბარსელონაში XXV ოლიმპიური თამაშები გაიმართება. მაგრამ ოფიციალური ოლიმპიური ალამი უკვე ესტუმრა ბარსელონას და მას გულთბილი შეხვედრაც მოუწყვეს.

ქრისტეფორე კოლუმბის სახელობის სანაპირო ბულვარზე სეულის მერმა საზეიმო ვითარებაში გადასცა ძვირფასი რელიქვია ბარსელონის მერს. ცერემონიალს ესწრებოდნენ კატალონიის ავტონომიური ხელისუფლების, ბარსელონის მუნიციპალიტეტის, ესპანეთის ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლები. საპატიო სტუმრებს შორის იყო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი.

შეკრებილთ მიმართა ქალაქის მერმა პასკალ მარგალმა. შემდეგ მეფის ასულმა ქრისტინამ, რომელიც სეულის ოლიმპიადაზე გამოდიოდა, აღმართა ოლიმპიური ალამი და მაშინვე ჰაერში აიჭრა 16-მეტრიანი საჰაერო ბუშტი ბარსელონის ოლიმპიადის თილისმის კობის გამოსახულებით...

35-ე სკოლა — ჩემპიონია!

სასიხარულო ცნობა მოვიდა ოდესიდან. ოლიმპიური რეზერვების და I ლიგის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებთან არსებული სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლების საკავშირო ჩემპიონატში თბილისის 35-ე სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლის გუნდმა პირველი ადგილი დაიკავა.

როგორც გაუწყეთ, ჭაბუკთა ამ პრესტიჟულ ტურნირში ჩვენმა ფეხბურთელებმა თანამიმდევრობით დაამარცხეს ოდესის „ჩერნომორეცი" — 3:1, მინსკის „დინამო" — 1:0, მესამე შეხვედრა ფრედ (2:2) დაამთავრეს ბაქოს „ნეფთჩისთან", მეოთხე ტურის მატჩში კი დამარცხდნენ მოსკოვის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდთან — 2:4 და ბოლო, გადამწყვეტ შეხვედრაში კიეველ დინამოელებს სძლიეს ანგარიშით 1:0, თბილისელებმა 7 ქულა დააგროვეს და მიუწვდომელნი გახდნენ მეტოქეთათვის. ეს ერთადერთი გადამწყვეტი ბურთი კიეველთა კარში რ. კერძევაძემ გაიტანა.

გულშემატკივართა სახელით ვულოცავთ თბილისის 35-ე სკოლის კოლექტივს ამ დიდ წარმატებას, ხოლო დაწვრილებით ანგარიშს პირველობის შესახებ, ჩვენი გაზეთის ერთ-ერთ უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.

●●●●●●●●●●●●●●●

წელიწადი - მკითხველი

პრაღა. ძალოსნობაში ჩეხოსლოვაკიის ღია თასის გათამაშებაზე რამდენიმე მაღალი კლასის შედეგი აღინიშნა. ვლადიმირელმა პაველ კუზნეცოვმა (100 კგ) სეულისშემდგომ პირველსავე შეჯიბრებაში 387,5 კგ დააგროვა და პრიზი დაისაკუთრა. 110 კგ წონაში უძლიერესი იყო ბულგარელი სტეფან ბოტევი — 432,5. სუპერმძიმეწონოსანთა შორის კი გამარჯვება ჩეხოსლოვაკიელმა ირჟი ზუბრიცკიმ მოიპოვა — 420.

კანი. ველოსიპედისტთა პოპულარული ტურნირი „ეროვნებათა დიდი პრიზი" მოიგო ფრანგმა შარლ მოტემ, 86 კილომეტრიანი დისტანციის გავლას 1:58.46 მოანდომა (საათში საშუალოდ 45 კილომეტრზე მეტი).

ტოკიო. იაპონიის დედაქალაქში გამართულ მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაში საბჭოთა ოლიმპიელებმა რამდენიმე გამარჯვება მოიპოვეს: ურო — სერგეი ლიტვინოვი (81 მ. 74 სმ), 1500 მ — ტატიანა სამოლენკო (4.07,34), სიგრძეზე ხტომა — გალინა ჩისტიაკოვა (688 სმ).

კოვროვო. სსრ კავშირის ჩემპიონი მოტობურთში ამ ქალაქის კლუბი „კოვროვეცი" გახდა — 32 ქულა. გამარჯვებულს ქულით ჩამორჩა და ვერცხლის მედალი დაისაკუთრა ქალაქ ვიდნოეს „მეტალურგმა".

სიმფეროპოლი. აქ დამთავრებული მრავალდღიანი ველორბოლის საერთო სიგრძე 1290 კილომეტრი იყო. მონაწილეებმა მთელი ტრასა საათში 38 კილომეტრის სისწრაფით გაიარეს. გამარჯვება მოიპოვა ცელინოგრადელმა ანდრეი ტეტერიუკმა — 33:05.07. მანვე მიიღო ყველაზე სტაბილური ველოსიპედისტისთვის დაწესებული პრიზი.

გასულ კვირას დამთავრდა პროფესიონალ რეგბისტთა მსოფლიო თასის VIII გათამაშება ე. წ. ლიგის (ცამეტკაციან) რეგბიში. შეჯიბრებაში, რომელიც ჯერ კიდევ 1985 წელს დაიწყო, მონაწილეობდნენ დიდი ბრიტანეთის, ახალი ზელანდიის, ავსტრალიის, საფრანგეთისა და პაპუა ახალი გვინეის ნაკრებები. ეს ხუთი გუნდი ოთხი სეზონის მანძილზე ტურნეების დროს ხვდებოდა ერთმანეთს, შემდეგ კი წრიულ შეჯიბრებაში მეორე ადგილზე გასულმა ახალი ზელანდიის ნაკრებმა („კივიმ") ფინალში ლიდერს — ავსტრალიის გუნდს („კენგურუს") უმასპინძლა. თამაში (იგი ოქლენდის „იდენ ფარქზე" გაიმართა) ავსტრალიელმა პროფესიონალებმა მოიგეს — 25:12 (21:0) და შეინარჩუნეს 1977 წელს მოპოვებული თასი. სულ კი შეჯიბრებაში, რომელიც 1954 წლიდან არარეგულარულად იწყობა, ავსტრალიელებმა უკვე მეხუთედ გაიმარჯვეს. სამჯერ კი თასს ბრიტანელი პროფესიონალები ფლობდნენ.

ამჯერად—ნამდვილი მარათონი

ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკისაგან განსხვავებით, ჩვენში ერთობ ცოტაა მარათონული რბენის მიმდევართა რიცხვი. ამდენად, არსებული რეალობის გათვალისწინებით, შეგვიძლია ვთქვათ: ჯერ კიდევ ბევრი დრო გვაშორებს იმ დღეს, როდესაც „ჩვენი" მარათონის სტარტზე ასეულობით ადამიანი გამოვა მაღალი სპორტული შედეგის მისაღწევად თუ საკუთარი ძალისა და შესაძლებლობათა გამოსაცდელად (18 სექტემბერს განათლების სამინისტროს მიერ მოწყობილი „მარათონი", მართალია, ხალხმრავალი იყო, მაგრამ დისტანციის სიგრძე 10-ჯერ და უფრო მეტად ჩამორჩებოდა ნამდვილი მარათონისას).

ასეთი პესიმისტური პერსპექტივა სრულებით არ ნიშნავს, რომ კარგ წამოწყებაზე ხელი ავიღოთ. ბოლო წლებში საქართველოში, კერძოდ, თბილისში უკვე ორჯერ ჩატარდა შეჯიბრება 42 კილომეტრზე და 195 მეტრზე რბენაში, ერთხელ კი მარათონს მცხეთამ უმასპინძლა. სამივე შეჯიბრებამ ცალ-ცალკე რამდენიმე ათეულ მორბენალს მოუყარა თავი.

და აი, მეოთხე სტარტი. 5 ნოემბერს თბილისის ზღვაზე ჩატარდება საქართველოს ჩემპიონატი მარათონში. იქვე პარალელურად გათამაშდება რესპუბლიკური პირველობა 10 და 20 კილომეტრზე რბენაში.

შეჯიბრება, როგორც ხედავთ, ოფიციალურია და მასში გუნდური გამარჯვებისთვის (გუნდში 10 სპორტსმენი უნდა იყოს, 7 ვაჟი და 3 ქალი) იბრძოლებენ პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების, „დინამოს". „შრომითი რეზერვების", აგრეთვე, სპორტსკოლებისა და რბენის მოყვარულთა კლუბების ნაკრებები. მაგრამ ჩემპიონატში მონაწილეობის მიღება ყველა მსურველსაც შეუძლია, ოღონდ საამისოდ მათ უნდა იქონიონ სათანადო სამედიცინო ცნობა. პირადი განცხადება და სამედიცინო ბარათები უნდა წარმოადგინონ 4 ნოემბერს საქართველოს სპორტსახკომის მძლეოსნობის განყოფილებაში 10,00-დან 15,00 საათამდე, ხოლო დაგვიანებულებმა — უშუალოდ შეჯიბრებამდე 1,5 საათით ადრე. ცალკეულმა ორგანიზაციებმა კი წინასწარი განაცხადებით უნდა მიმართონ მძლეოსნობის განყოფილებას (თბილისი, ჭავჭავაძის პრ. 49 ა, საქართველოს სპორტსახკომის მძლეოსნობის განყოფილება, ტელ. 23-55-92) არა უგვიანეს 15 ოქტომბრისა.

მარათონში პირველ ექვს ადგილზე გასული სპორტსმენები დაჯილდოვდებიან დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით. საჩუქრები და პრიზებია დაწესებული 10 და 20 კილომეტრზე მოასპარეზეებისთვისაც.

კვლავ შეგახსენებთ: შეჯიბრება 5 ნოემბერს, 12 საათზე დაიწყება თბილისის ზღვაზე (თემქის დასახლების მხრიდან).

ქეთევან არახამია ვიცე-ჩემპიონია

ადელაიდაში (ავსტრალია) დამთავრდა 1968 წელს და უფრო გვიან დაბადებულ მოზარდ მოჭადრაკეთა მსოფლიო ჩემპიონატი. ასპარეზობა ჩატარდა შვეიცარიული სისტემით — 13 ტურად.

გოგონათა ტურნირში, რომელშიც 19 ქვეყნის 24 მოჭადრაკე მონაწილეობდა, შესანიშნავად ითამაშა თბილისელმა საერთაშორისო დიდოსტატმა ქეთევან არახამიამ. მან 9,5 ქულით ელენა ზაიაცთან ერთად II-III ადგილები გაიყო. უკეთესი კოეფიციენტის გამო მეორე ადგილი ქართველ დიდოსტატს მიაკუთვნა. მსოფლიო ჩემპიონის სახელი კი 10,5 ქულით საერთაშორისო ოსტატმა ალისა გალიამოვამ (მოსკოვის ოლქი) მოიპოვა.

ჭაბუკებს შორის 9-9 ქულით ერთბაშად ოთხმა მოჭადრაკემ გადაკვეთა „ფინიშის ხაზი". მაგრამ კოეფიციენტის მიხედვით მსოფლიო ჩემპიონის წოდება მოიპოვა ჟიულ ლოტიერმა (საფრანგეთი). მეორე ადგილი დაიკავა ვასილი ივანჩუკმა, მესამე — გრიგორი სერპერმა. სულ მონაწილეობდა 46 ქვეყნის 52 მოჭადრაკე.

ლიდერი შეიცვალა

რეიკიავიკი. გრძელდება მოჭადრაკე ვაჟთა „მსოფლიო თასის" გათამაშების მესამე ეტაპი. V და VI ტურების შედეგები: **V ტური:** ბელიავსკი-ნიკოლიჩი — 1:0, ტალი-რიბლი — 1:0, ელვესტი-ტიმანი — 1:0, იუსუპოვი-სპასკი — 1:0, სოკოლოვი-ჰიარტარსონი — 1:0, სპილმენი-კორჩნოი — 1:0, კასპაროვი-პორტიში — 0,5:0,5, ანდერსონი-ნანი — 0,5:0 5, საქსი-პეტურსონი — 0,5:0,5. **VI ტური:** ტალი-პორტიში — 1:0, პეტურსონი-სოკოლოვი — 0:1, კასპაროვი-ჰიარტარსონი — 1:0, კორჩნოი-რიბლი — 1:0, ბელიავსკი-იუსუპოვი — 0:1, ტიმანი-ნიკოლიჩი 1:0, საქსი-ელვესტი — 1:0, ნანი-სპილმენი — 0,5:0,5, სპასკი — ანდერსონი — 0,5:0,5.

ამრიგად, 6 ტურის შემდეგ ლიდერი შეიცვალა — 4,5 ქულით დაწინაურდა მსოფლიოს ექსჩემპიონი მიხეილ ტალი. 4-4 ქულით მას კვალში მიჰყვებიან: არტურ იუსუპოვი, გარი კასპაროვი და ალექსანდრე ბელიავსკი.

ახალგაზრდობა უტევს „შვიდიათასიანებს"

წლევანდელი ზაფხული საკმაოდ შედეგიანი გამოდგა ქართველი მთამსვლელებისათვის. ჩვენი ნაკრები გუნდი, რომელიც დაკომპლექტებული იყო ახალგაზრდა ალპინისტებით, ჯერ დაღესტნის მთიანეთს, ხოლო შემდეგ ცენტრალურ პამირს ესტუმრა.

ასვლები მიეძღვნა ქართული და საბჭოთა ალპინიზმის ფუძემდებლის, პროფესორ გიორგი ნიკოლაძის ხსოვნას, რომელსაც 8 აგვისტოს შეუსრულდა დაბადების 100 წლისთავი.

მაისში ოცდღიანი საკვალიფიკაციო შეკრება მოეწყო დაღესტანში, კავკასიის ყველაზე მაღალ სოფელ ყურუმში (2560 მ). ეს რაიონი ცნობილია იარიდაგის მასივით, რომელზეც მრავალჯერ ჩატარებულა საბჭოთა კავშირის პირველობა კლდოვან კლასში.

შეკრების მიზანი იყო მთამსვლელთა კვალიფიკაციის ამაღლება და, შეძლებისდაგვარად, მონაწილეობის მიღება საკავშირო ალპინიზმის ფედერაციის თასის გათამაშებაში. საამისოდ შეირჩა იარიდაგის მასივის 1200-მეტრიანი შვეულის ჯერ გაუვლელი 90-გრადუსიანი კედელი.

ექსპედიციამ (გია თორთლაძე — ექსპედიციის ხელმძღვანელი, გუნდის კაპიტანი, რომან გიუტაშვილი — მთავარი მწვრთნელი, ჯემალ ქელეხსაშვილი — მწვრთნელი, სამაშველო ჯგუფის უფროსი; მონაწილენი: გელა ოთარაშვილი, გია დვალი, სერგეი ტარასოვი, სანდრო კობაიძე — ექიმი, აფი გიგანი, ამირან დოლიძე, გივი გიგაური, ვახტანგ სვანიძე, დავით იოსელიანი, მერაბ ხაბაზი, კოტე ვაშაკიძე, პავლე ცაგარეიშვილი, ლევან ჰკუასელი, დავით რაქვიაშვილი და ზაზა სვანაძე) განახორციელა ასვლები I-დან V-ბ კატეგორიის სირთულის მარშრუტით. ალპინისტებმა დაიპყრეს მწვერვალები სელდი, შალზუზდაგი, იარიდაგი და დაღესტნის უმაღლესი მწვერვალი ზაზარდიუზი (4466 მ). მათს ანგარიშზეა ერთი 1-ლი, ორი მე-3, თერთმეტი მე-4 და ორი მე-5 კატეგორიის სიძნელის ასვლა.

აღსანიშნავია, რომ გელა ოთარაშვილმა, გია დვალმა და სერგეი ტარასოვმა შეასრულეს სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი და საკავშირო ფედერაციის თასის გათამაშებაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

2 ივნისს ძირითადი ჯგუფი (გია თორთლაძე, — ხელმძღვანელი, რომან გიუტაშვილი, გელა ოთარაშვილი, გია დვალი და სერგეი ტარასოვი) გავიდა საკონკურსო მარშრუტზე. ორ დღეში ჯგუფმა გაიარა კედლის ერთ მესამედზე მეტი (დაახლოებით 500 მეტრი), მაგრამ, სამწუხაროდ, ცუდი კლიმატური პირობებისა და მარშრუტზე შექმნილი სახიფათო მდგომარეობის გამო გუნდი იძულებული შეიქმნა უკან დაბრუნებულიყო.

ბ. ქაშაკაშვილის ფოტოები.

მიუხედავად ამ წარუმატებლობისა, შეკრება ძალზე შედეგიანი გამოდგა. განხორციელდა ცამეტი რთული ასვლა, რაც უდავოდ ახალგაზრდა მთამსვლელთა კარგ ტექნიკურ და ფიზიკურ მომზადებაზე მეტყველებს.

შემდეგი ექსპედიცია ცენტრალური პამირის მთიანეთში, მოსკვინის მყინვარზე მოეწყო, სადაც მდებარეობს საბჭოთა კავშირის ორი უმაღლესი მწვერვალი — კომუნიზმისა და კორჟენევსკაიას პიკები. სწორედ ამ პიკების დაპყრობა იყო ნაკრები გუნდის მთავარი მიზანი. შვიდიათასიანის დაპყრობა კი, მოგეხსენებათ, დაკავშირებულია კარგ ფიზიკურ მომზადებასთან, სათანადო აკლიმატიზაციასა და სასიმაღლო ასვლების გამოცდილებასთან. ამიტომაც შემთხვევითი არ იყო, რომ ექსპედიციის ხელმძღვანელად დაინიშნა გამოცდილი მთამსვლელი, შვიდიათასიანების არაერთგზის დამპყრობი, სპორტის ოსტატი რომან გიუტაშვილი, ხოლო სამაშველო ჯგუფს სათავეში ედგა ასევე გამოცდილი მოსიმაღლე მთამსვლელი თამაზ ბაქანიძე.

პირველი სააკლიმატიზაციო გასვლა 6 ივლისს მოხდა. გუნდი 5 200 მეტრის სიმაღლეზე ავიდა, სადაც მოეწყო საიერიშო ბანაკი. ორი დღის დასვენების შემდეგ ექსპედიციის ძირითადი შემადგენლობა (სამაშველო ჯგუფის უფროსის გარდა) გაემართა კორჟენევსკაიას პიკზე (7105 მ). გუნდმა პირველი ღამე 5400 მეტრ სიმაღლეზე გაათენა. შემდეგი ღამისთევა 6400 მეტრზე მოეწყო, ხოლო 12 ივლისს გუნდი 14 კაცის შემადგენლობით სამხრეთი წიბოს გავლით ავიდა კორჟენევსკაიას პიკზე.

აღსანიშნავია, რომ ეს ასვლა კორჟენევსკაიას პიკზე სეზონში პირველი იყო და ქართველ მთამსვლელებს მოუხდათ მწვერვალამდე თოვლიანი გზის გაკვალვა. გუნდი შემდეგი შემადგენლობით ავიდა მწვერვალზე: რომან გიუტაშვილი, გია თორთლაძე, გელა ოთარაშვილი, გია დვალი, ბენო ქაშაკაშვილი, აფი გიგანი, ამირან დოლიძე, იდრის ხერგიანი, გივი გიგაური, გოჩა ქუმსიაშვილი, დავით სააკაძე, ვახტანგ სვანიძე, დათო იოსელიანი და სანდრო კობაიძე.

რამდენიმე დღის შემდეგ დაიწყო იერიში კომუნიზმის პიკზე (7495 მ). კორჟენევსკაიას პიკისაგან განსხვავებით, აქ მთამსვლელებს ძალზე ცუდ კლიმატურ პირობებში მოუხდათ მოძრაობა. 6100 მეტრ სიმაღლეზე პამირის ფირნის პლატოზე ჯგუფი ქარიშხალში მოჰყვა და სამი დღე მოუხდა ცდა, რომ ასვლა გაეგრძელებინა. ასეთ დიდ სიმაღლეზე ხანგრძლივმა ღამისთევებმა თავისი დაღი დაასვა ასვლას და დაახლოებით 6500 მეტრი სიმაღლიდან რამდენიმე მთამსვლელი გამოეთიშა შტურმს. მწვერვალს ცხრა კაცმა მიაღწია. ესენი იყვნენ: რომან გიუტაშვილი (ხელმძღვანელი), გია დვალი, აფი გიგანი, იდრის ხერგიანი, ამირან დოლიძე, გივი გიგაური, თამაზ შარაშენიძე, გოჩა ქუმსიაშვილი და სანდრო კობაიძე.

ასვლა 26 ივლისს დამთავრდა. აღსანიშნავია, რომ ჯერ არც ერთ ქართულ ექსპედიციას არ განუხორციელებია ასეთი მასობრივი ასვლები შვიდიათასიანებზე. ამასთან, ბოლო თექვსმეტი წლის მანძილზე ამ ორ მწვერვალზე არც ერთი ქართული ჯგუფი არ ყოფილა. თუ ყოველივე ამას გავითვალისწინებთ, შეიძლება ითქვას, რომ ახალგაზრდა მთამსვლელთათვის წლევანდელი ექსპედიციის შედეგები დიდი მიღწევაა. ექსპედიციის წევრებმა თამაზ ბაქანიძემ, სანდრო კობაიძემ და ირინე გენინგმა დაიპყრეს ოთხთა პიკი, რომლის სიმაღლე 6300 მეტრს აღემატება.

კომუნიზმის პიკი.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჯგუფის წევრ რამდენიმე ახალგაზრდას უკვე სამი შვიდიათასიანი მწვერვალი აქვს დაპყრობილი (ლენინის პიკი — 7134 მ, კორჟენევსკაიას პიკი — 7105 მ, კომუნიზმის პიკი — 7495 მ). ახლა მათ „თოვლის ჯიქის" მისაღებად, რომელიც საქართველოში ჯერჯერობით არავის მოუპოვებია, ტიან-შანში მხოლოდ ერთი შვიდიათასიანი უნდა დაიპყრონ. გუნდის ცალკეული წევრები ასულან მარქსისა და ენგელსის სახელობის პიკებზე.

ყოველივე ეს ჩვენში სასიმაღლო ალპინიზმის აღორძინებაზე მეტყველებს და, თუ ტენდენცია კვლავაც გაგრძელდა, თამამად შეგვიძლია უფრო დიდ გამარჯვებებზე ვიფიქროთ.

ბ. ნებიერიძე.

დადგენილება ჩვენი ავტორიტეტია

უკუვაგდოთ ძველი სტერეოტიპები!

ცხოვრების ნახევარზე მეტი ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდას შევალიე და ეს საზოგადოებრივი საქმე ძირითად საქმიანობაზე ნაკლებად არ მაღელვებს. აი, ახლაც, გულდასმით ვეცნობი დადგენილებას, რომელიც მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მოძრაობის პროპაგანდის გაძლიერების მიზნით ერთობლივად მიიღო რესპუბლიკის რვა ორგანიზაციამ. იგი ფართო და ყოვლისმომცველია, მაგრამ მთავარი, მოგეხსენებათ, მისი შესრულებაა. იმედის მომცემი, ფრიად საჭირო დადგენილებების მეტი რა მიგვიღია, მაგრამ საბოლოოდ რომ არაფერი შესრულებულა! ომისშემდგომი პერიოდიდან დღემდე რესპუბლიკაში მიღებული გვაქვს 100-ზე მეტი ფუნდამენტური (სხვა, საუწყებო მასშტაბისას არ ვგულისხმობ) დადგენილება, ყველა მათგანში ერთ-ერთ მთავარ საკითხად დასახელებულია ბაზების მშენებლობა, ათეულობით ქვეპუნქტებში კი განმარტებულია ამ საკითხის გადაჭრის გზები და საშუალებები. თითოეული დადგენილებიდან დასახულის 5 პროცენტიც რომ განხორციელებულიყო, დღეს საქართველოს ქალაქები და სოფლები თანამედროვე სპორტული ბაზებით უნდა ყოფილიყო მოფენილი. ეს სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია. ვინც იმ დადგენილებების ტექსტში ჩაიხედავს, იმასაც ნახავს, რომ ყველა მათგანი მთავრდება პუნქტით, სადაც დასახელებულია შესრულების ვადები, პასუხისმგებელი შესრულებაზე, შესრულების გადამოწმების ვადები და ა. შ.

ო, როგორ მივეჩვიეთ საფუძველგამოცლილ, მაუდქვეშ ამოსადებად განწირულ დადგენილებებს; როგორ მივეჩვიეთ დიდ თუ მცირე სპორტულ თავყრილობებს, რომელთა მონაწილეებმა კარგად უწყიან, მხოლოდ ვალის მოხდის მიზნით რომ შეიკრიბნენ. ასეთ სხდომებზე სიტყვის წარმოსათქმელად ტრიბუნისკენ მიმავალს არაერთხელ გამიგონია პრეზიდიუმიდან „ხელმძღვანელი ამხანაგის" კარნახი: „სპორტულ ბაზებზე და ფინანსებზე საუბრისგან თავი შეიკავეთ, ილაპარაკეთ დანარჩენ (!) პრობლემებზე". არადა, ვინ მოთვლის, იმ „ამხანაგს" რამდენჯერ მოუწერია ხელი იმნაირ დადგენილებაზე, რომლის მიხედვით სპორტული ბაზების მშენებლობაზე პირდაპირ ცეცხლი უნდა დანთებულიყო.

არ მინდა, ნამდვილად არ მინდა ამ ახალმა დადგენილებამაც (ა. წ. 18 აგვისტოს რომ გამოვიდა) წინამორბედების ბედი გაიზიაროს. სწორედ ამ გულწრფელმა სურვილმა გადამაწყვეტინა, გულახდილად, პირდაპირ, ისე, საჯაროობისა და დემოკრატიზაციის პერიოდს რომ შეეფერება, გამოვთქვა ორიოდე მოსაზრება ჩვენს რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდის ზოგიერთ მტკივნეულ საკითხზე.

რა არის ფიზიკური კულტურა და სპორტი?

უცნაურია, — იტყვის მკითხველი, — საქართველოს სპორტსმენთა საძმო ითვლის 131 ოლიმპიელს, რომელთაც 83 ოლიმპიური მედალი აქვთ მოპოვებული, ჩვენს რესპუბლიკაში აღიზარდა 300-ზე მეტი მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და, ნეტავ, ასეთი გულუბრყვილო კითხვა რით დავიმსახურეთ?

ვაგლახ, რომ დავიმსახურეთ! ჩვენში მაღალი რანგის სპორტსმენებისა და სპორტში გათვითცნობიერებული მოყვარულების რაოდენობა მოსახლეობის 10 პროცენტი თუ იქნება. ახლა, იმ დანარჩენი 90 პროცენტიდან ასეთი კითხვით მივმართოთ მშობლებს, რომლებიც ნიადაგ იმის ფიქრში არიან, ფიზკულტურის გაკვეთილებიდან როგორმე გაათავისუფლონ შვილი, წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, რომლებიც აუქმებენ სპორტულ დარბაზებს და მათ საწყობებად აქცევენ, არქიტექტორებს, რომლებსაც სკოლებისა თუ საცხოვრებელი მიკრორაიონების დაპროექტებისას სპორტული ბაზები „გამორჩებათ" ხოლმე, სოფლის თავკაცებს, რომლებიც სამეურნეო გეგმის იქით ვერაფერს ხედავენ და არად დაგიდევენ ახალგაზრდების ფიზიკურ წრთობას, დაუსვით იგივე კითხვა ჩვენი მოსახლეობის საკმაოდ დიდ ნაწილს, რომელსაც უკვირს ბუნების წიაღში ტურისტის გამოჩენა და მათ მოხეტიალე უსაქმურებად ნათლავს. დიახ, ვერცერთი მათგანი სწორ პასუხს ვერ გაგცემთ, და თუ მაინც გიპასუხებენ, ეს პასუხი არ იქნება გულწრფელი, რადგან ისინი საქმით ფიზიკური კულტურისადმი უპატივცემლობას ამტკიცებენ. როგორ გგონიათ, დადგენილებაში შემთხვევით გაჩნდა ასეთი მითითებები?: „ნაკლებად პოპულარულად, დასაბუთებულად და გასაგებად განიმარტება ფიზიკური კულტურისა და სპორტის როლი", „პროპაგანდა გაეწიოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის მნიშვნელობას", „განემარტოს მასებს საწარმოო ტანვარჯიშის მნიშვნელობა" და ა. შ. ასეა, დღეს სპორტის პროპაგანდისტმა, ლექტორმა, როგორც იტყვიან, ხშირ შემთხვევაში ყველაფერი ნოლიდან უნდა დაიწყოს.

განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი ჩვენში ფიზიკური კულტურის როლის არასწორი გაგების ერთ მეტად საგულისხმო ფაქტს: როგორც ცნობილია, გამოთქმამ „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია" მსოფლიო მოიარა. მაგრამ ეს რომაული სენტენცია, რომელიც ლაკონურად ასახავს სულიერი და ფიზიკურის ჰარმონიის საკაცობრიო იდეალს, ხშირად ძირშივე მცდარად ესმით. „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია" — ვკითხულობთ რუბრიკებს ჟურნალ-გაზეთებში და აშკარად ვგრძნობთ, როგორ ცდება მისი ავტორი. უნდა იწერებოდეს არა „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია", არამედ „ჯანსაღ სხეულში — ჯანსაღი სული" ე. ი. ეს გამოთქმა უნდა გავიგოთ არა როგორც ფაქტი, არამედ როგორც მოწოდება სულიერი და ფიზიკური სრულყოფისაკენ. ეს კი სულ სხვა საქმეა. თორემ რა გამოდის: „ჯანსაღ სხეულში, როგორც წესი, ჯანსაღი სულიაო", ვარწმუნებთ სპორტსმენახალგაზრდას და ამით პირდაპირ ვეუბნებით: თქვენ ივარჯიშეთ, დაიცავით კოლექტივის ღირსება სპორტულ სარბიელზე, სწავლისა და სულიერი განვითარებისა კი ნუ გედარდებათ, ის თავისთავად მოვა, ცნობილი გამოთქმა ხომ გვასწავლის, თუ ჯანსაღი ხარ, სულიც ჯანსაღი გექნებაო. ამას წინათ (1.9.1988 წ.) ერთ-ერთ გაზეთში დაიბეჭდა წერილი „ზრუნვას ნუ მოვაკლებთ". მართალია, რედაქციას სავსებით სწორად „გაუმართავს" რუბრიკა — „ჯანსაღ სხეულში — ჯანსაღი სული!" — დიახ, აქ ისეა გაგებული საქმის არსი, როგორც ეს მის ავტორს (დეციმ იუნი იუვენალი) ესმოდა: „ადამიანებს მხოლოდ ერთი რამ სურდათ ყოველთვის — მათს ჯანსაღ სხეულში იყოს ჯანსაღი სული", მაგრამ აი, ჩაათავებ ამ საჭმიან წერილს და ყველაფერს ცივი წყალი გადაესხმება: „ნუ დაგვავიწყდება, რომ ჯანსაღი სული ჯანსაღ სხეულში იბუდებს" — ასკვნის ავტორი. ერთი რომ, ამ სენტენციის ასეთი გაგება შეურაცხყოფაა იმ ადამიანებისა, რომლებიც ფიზიკურად სუსტნი დაბადებულან ან რაიმე ფიზიკური ნაკლი აქვთ, მაგრამ გონიერებითა და სულიერი სიმდიდრით ფიზიკურად სრულყოფილ მრავალ პიროვნებას აღემატებიან, მეორეც, როგორცა ვთქვით, ასეთი გააზრება ახალგაზრდას სულიერი და ფიზიკური სრულყოფისათვის ბრძოლის მცდარ გზაზე მიუთითებს.

ერთი სიტყვით, კითხვაზე — რა არის ფიზიკური კულტურა და სპორტი? — სწორი პასუხის მასობრივად გაცემა ჩვენი სპორტის პროპაგანდისტების, ლექტორების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და თვით მოსახლეობის დიდ ძალისხმევას მოითხოვს.

სპორტი, მეგობრობა, ინტერნაციონალიზმი!

სპორტი ხალხთა ინტერნაციონალური აღზრდის წყაროა! — აი, თემა, რომელსაც თანმიმდევრულად უნდა აშუქებდნენ ჩვენი ინფორმაციის საშუალებები — კინო, რადიო, ტელევიზია, პრესა — თემა, რომლის სალექციო ტექსტი ყველა საზოგადოებრივ ლექტორს პორტფელის მთავარ განყოფილებაში უნდა ედოს.

მაგრამ ჩვენი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და ლექტორები რატომღაც გაურბიან აღნიშნულ თემას. ვინ იცის, იქნებ იმიტომაც, რომ ჩვენი სპორტული მოძრაობის ზოგიერთმა ძველმა ხელმძღვანელმა (ცხადია, უფრო მაღალი რანგის ხელმძღვანელთა წაქეზებითა და მითითებებით) საბჭოთა სპორტული მოძრაობის მრავალი მოვლენა და ფაქტი, ნებსით თუ უნებლიეთ, ხალხთა შორის არაჯანსაღი განწყობილების გაღვივების სამსახურში ჩააყენა და ახლა ბევრს ეუხერხულება ამ ფაქტების „ჩხრეკა". მაგრამ, მოგეხსენებათ, XIX პარტიულ კონფერენციაზე მთელი პრინციპულობით ითქვა ძველი შეცდომების მხილების აუცილებლობაზე, იმაზე, რომ წარსულის მწარე გაკვეთილები თანამედროვეობის იდეურ გაკეთილშობილებას უნდა ემსახუროს, ასე რომ, ახლა აუცილებელიცაა ვთქვათ სიმართლე და გავაანალიზოთ სპორტულ სამყაროში მომხდარი ის სავალალო შეცდომები, რომელთა გამეორება ზიანს მიაყენებს ჩვენს ეროვნულ პოლიტიკას.

მინდა გავიხსენო ერთი ფაქტი:

...იწურებოდა 1953 წლის საფეხბურთო სეზონი. მოსკოვის „დინამოს" სტადიონის ტრიბუნებზე 40-ათას მაყურებელს მოეყარა თავი. მოსკოვის „ტორპედო" თბილისის „დინამოს" მასპინძლობდა. მოთელვაზე გამოსულ „ტორპედოს" მაყურებელმა ოვაცია გაუმართა, „დინამოს" კი უსიამო შეძახილებით შეხვდნენ. რომელთა შორის ერთი პირდაპირ გულს გმირავდა: „ახლა სტალინი და ბერია ვეღარ გიშველით, შავტუხებო!"

პირველ ტაიმში „დინამო" დაწინაურდა, შემდეგ კი, როცა დიქტორმა გამოაცხადა, ლენინგრადში „სპარტაკმა" წააგო ადგილობრივ „ზენიტთანო", მაყურებელი გაშრა. ეს რა გამოდის, — ისმოდა ტრიბუნებზე — დღეს თუ თბილისელებმა გაიმარჯვეს, წინ გავლენ, კუიბიშეველებთან მოგება კი მათ არ გაუჭირდებათ და „სპარტაკი" ჩემპიონობას დაკარგავსო! ამასობაში „ტორპედომ" გაათანაბრა ანგარიში, მაგრამ ეს არ კმაროდა, საჭირო იყო მოგება, მხოლოდ მოგება; დაიმედებული მაყურებელი ყველა საშუალებით ამხნევებდა ტორპედოელებს, მაგრამ მოხდა „საშინელება" — თამაშის დასასრულს „ტორპედოს" კარში იმდენად უნაკლო ბურთი გავიდა, რომ ჩვენების მიმართ არცთუ კეთილმოსურნედ განწყობილმა მსაჯმა ბელოვმა უყოყმანოდ გაიშვირა ხელი მოედნის ცენტრისკენ, ხოლო, როცა თამაშის დამთავრების ნიშანი გაისმა, მაყურებელმა იხუვლა და მწვანე მინდვრის ცენტრში უმწეოდ მდგარი თერთმეტი თბილისელი ალყაში მოიქცია. „ტორპედოს" კაპიტანმა გომესმა და მისმა თანაგუნდელებმა იმარჯვეს — მჭიდრო რკალად შემოერტყენ დინამოელებს და რის ვაივაგლახით ჩაიყვანეს გასახდელში. შემდეგ გასახდელშიც ჩააღწია აბობოქრებული მაყურებლის ტალღამ, მაგრამ იქ უკვე მილიცია დახვდა.

ავთანდილ ციბაძე.

(დასასრული იქნება)

ასეთია ოლიმპიური ჩემპიონი

„...ყოჩაღ დავით! მადლობა. დავით გობეჯიშვილი — ბავშვივით მორიდებული ორმეტრიანი გიგანტი. დავითი — მოჭიდავეთა ლეგენდიდან, სადაც მის გვერდით დგას დამარცხებული გოლიათი, ამერიკელი ბრიუს ბაუმჰარტნერი — ლოს-ანჯელესის ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონი მძიმე წონაში, ჩვენი ათლეტების ძველი მეტოქე...“

ასე აღფრთოვანებით წერდა გაზეთი „სოვეტსკი სპორტი“ 1988 წლის 2 ოქტომბერს ჩვენს ფალავანზე, როცა უკვე ცნობილი იყო თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ოლიმპიური ტურნირის შედეგები, როცა გულშემატკივრებმა ყველა მთავარ შეკითხვაზე ამომწურავი პასუხი მიიღეს და საბოლოოდ განაწილდა ადგილები პირველ ექვსეულში. ეს იყო ძნელი და მომქანცველი გზის ბოლო მონაკვეთი ბედნიერი ფინალით, რომელმაც 25 წლის ქართველ გოლიათს ნანატრი გამარჯვება, ჩვენ კი, მისი ნიჭის თაყვანისმცემლებს ენით აუწერელი სიხარული მოგვიტანა. მაგრამ საუბარი სეულის ოლიმპიადის ჩემპიონთან იმ ამბების ვახსენებით დავიწყეთ, რომელიც ქრონოლოგიურად წინ უსწრებდა ამ გამარჯვებას.

● **როდის დარწმუნდით, რომ ოლიმპიადაზე თქვენს გამგზავრებას წინ აღარაფერი ედგა?**

— ამაში დიდი ხანია დარწმუნებული ვიყავი, მაგრამ საჭირო იყო მწვრთნელთა საბჭოს დარწმუნებაც. საქმე ის გახლავთ, რომ მძიმე წონაში გამარჯვებას, ტრადიციულად, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ჩვენშიც და უცხოეთშიც. ამიტომ საბჭოთა ნაკრების ხელმძღვანელობას გამარჯვების გარანტია სჭირდებოდა. ამის გარანტია კი ან მე უნდა მიმეცა, ან ჩემს მთავარ მეტოქეს ტაშკენტელ ასლან ხადარცევს.

● **საინტერესოა, რას ემყარებოდა თქვენი რწმენა? თუ არ ვცდებით, მიმდინარე სეზონში ერთმანეთს არ შეხვედრიხართ.**

— წლეულს სამი დიდი შეჯიბრება მოვიგე — საკავშირო ჩემპიონატი, მსოფლიო თასი და თბილისის საერთაშორისო ტურნირი. გულახდილად გეტყვით, არც ერთი ზემოჩამოთვლილი შეჯიბრება მონაწილეთა სიძლიერით ოლიმპიურ ტურნირს არ ჩამოუვარდებოდა.

● **მაგრამ ასლან ხადარცევმაც ხომ გაიმარჯვა ევროპის ჩემპიონატში?**

— ამ ტურნირზე ჩვენგან ერთ-ერთი უნდა წასულიყო. მწვრთნელებმა არჩევანი ხადარცევზე იმიტომ შეაჩერეს, რომ, ცხადია, მისი გამოცდაც აინტერესებდათ. ასლანმა გაიმარჯვა და დაამტკიცა, რომ იგიც სეულში გამგზავრების რეალური კანდიდატი იყო.

● **მაშ რომელ შეჯიბრებას ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა?**

— გადამწყვეტ შეჯიბრებაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა. როცა ორი კანდიდატი თანაბარი უფლებებით იბრძვის ნაკრებში ადგილის დასამკვიდრებლად, ყველაზე უპრიანია მათი დაჭიდება ერთმანეთთან. ამის შესაძლებლობა იყო საკავშირო ჩემპიონატში და მეც ტურნირისთვის საგანგებოდ მოვემზადე. მაგრამ ასლანმა მოულოდნელად რაღაც მოიმიზეზა და შეჯიბრებაში არ გამოვიდა, მაშინ დავრწმუნდი, რომ პირად შეხვედრას თავს არიდებდა.

● **ასეთი შეხვედრა ადრე თუ გვიან მაინც ხომ უნდა შემდგარიყო?**

— დიახ, შედგა კიდეც კისლოვოდსკში. ნაკრების მთავარ შეკრებაზე, მაგრამ, უმაყურებლოდ, ასე ვთქვათ, სამუშაო ატმოსფეროში...

...დავით გობეჯიშვილს ოლიმპიური კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასვლამდე ორი სირთულის გადალახვა მოუხდა. უფრო ზუსტად, ოლიმპიური თამაშები მისთვის კისლოვოდსკში დაიწყო, როცა მთავარ მეტოქეს პირისპირ შეხვდა მრავალრაუნდიან საკონტროლო ბრძოლაში.

ეს შეხვედრა, მცირე შესვენებით, 30 წუთს გაგრძელდა. პირველმა ექვსმა წუთმა უძლიერესი ვერ გამოავლინა. ორივე მეტოქე მონდომებით იბრძოდა, თავს არ იზოგავდა, მაგრამ ტექნიკური ილეთი ვერც ერთმა ვერ შეასრულა და ფრე დაფიქსირდა („ბოროტი ენები“ ამბობენ, რომ ამ ექვს წუთში გობეჯიშვილმა შეძლო ქულის აღებაო, მაგრამ...). დამატებითი სამ წუთი — ისევ ფრე, კიდევ სამი წუთი — ფრე, მესამე სამი წუთი — ფრე. ასე გავიდა საკონტროლო შეხვედრის პირველი 15 წუთი.

მცირე შესვენების შემდეგ მეტოქეები ისევ 6-წუთიანი შეხვედრისთვის მიიწვიეს — ფრე, დამატებითი სამი წუთი — ფრე (იმავე „ბოროტ ენებს“ თუ დავუჯერებთ, დათომ ერთი ქულა აქაც აიღო, მეტოქემ კი გაფრთხილება დაიმსახურა), ისევ სამი წუთი — ისევ ფრე, ბოლო სამი წუთი და... ფრე (აქაც თურმე შესაძლებელი იყო დათოსთვის ქულის მიცემა). ოცდაათი წუთი ჩაამთავრეს მეტოქეებმა და, ცხადია, კარგა მაგრადაც დაიღალნენ, მაგრამ ნაკრების უფროსი მწვრთნელის ივანე იარიგინის წინადადებით შეხვედრას კიდევ ერთი წუთი დაემატა. ეს ბრძოლაც ფრედ რომ დამთავრებულიყო, კონკურენტები საღამოთი ისევ შეხვდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ ამ ერთ წუთში დავითმა როგორც იქნა აიღო ქულა, რომელიც საკამათო აღარ გამხდარა და რომელმაც შეხვედრის ბედი მის სასარგებლოდ გადაწყვიტა. **(ნ. გ.)**

● **ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა პირველად მოგიხდათ. არის თუ არა განსხვავება ოლიმპიურ ტურნირსა და ვთქვათ, მსოფლიო ჩემპიონატს შორის?**

— რა თქმა უნდა, არის და უმთავრესად ფსიქოლოგიური ხასიათის. ალბათ მიგიქცევიათ ყურადღება, რომ ოლიმპიადაზე საპრიზო ადგილებს ხშირად შედარებით უცნობი მოჭიდავეები იკავებენ. ეს იმიტომ ხდება, რომ ამ ტურნირისთვის ყველა საგანგებოდ ემზადება. სუსტი მოჭიდავე აქ ფაქტიურად არ ჩამოყავთ და ამის გამო სიურპრიზი მეტ-ნაკლებად ყველასგანაა მოსალოდნელი.

● **მძიმე წონაშიც ასეთი მდგომარეობაა?**

— შემთხვევითობის ფაქტორი ჩვენთან მეტ-ნაკლებად გამორიცხულია. რაც, სხვათა შორის, ამ ტურნირმაც ცხადყო. მსოფლიოში არც ისე ბევრია უმაღლესი კლასის მძიმეწონოსანი. მაგრამ სეულში ერთგვარი სიურპრიზის მოწმენი გავხდით: მეოთხე ადგილი უნგრელმა კლაუზმა დაიკავა, მეექვსე კი კანადელმა პაინმა. ადრე ისინი უძლიერესთა შორის არ ირიცხებოდნენ. სწორედ ამიტომ ოლიმპიურ ტურნირში ადვილი არც ერთი შეხვედრა არ ყოფილა.

● **მაგრამ თქვენი მთავარი მეტოქის ვინაობა ადრევე ცნობილი იყო და მასთან შეხვედრისთვის ალბათ საგანგებოდ ემზადებოდით.**

— დიახ, არავისთვის იყო საიდუმლო, რომ საბოლოო ჯამში ოქროს მედალი ჩემსა და ამერიკელ ბრიუს ბაუმჰარტნერს შორის გათამაშდებოდა.

● **რამდენჯერ შეხვედრიხართ ერთმანეთს?**

— სეულის ოლიმპიადასაც თუ ჩავთვლით, რვაჯერ, ოთხი ბრძოლა მოვიგე, ოთხი — ამერიკელმა. მოგეხსენებათ, ყველა შეხვედრა თავისებურად ფინალური იყო. ამ ორთაბრძოლების შემდეგ ტურნირს ან მე ვიგებდი, ან ბაუმჰარტნერი.

● **რას გვეტყვით ამერიკელზე, როგორც პიროვნებაზე? როგორია იგი პირად ცხოვრებაში და ურთიერთობაში?**

— როგორც ყველა ამერიკელი, გულღია და ხალისიანი კაცია, ურთიერთობა ნორმალური გვაქვს. ბაუმჰარტნერი 28 წლისაა და, ცხადია, სპორტიდან წასვლაზე ფიქრობს. ამიტომ ოლიმპიადის მოგება მისი მთავარი ოცნება იყო. უცხოელი სპორტსმენებისთვის ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული ცხოვრების თავისებური საგზურია. მერე ისინი პროფესიონალებში გადადიან და კაპიტალის დაგროვებას იწყებენ. ბაუმჰარტნერსაც დაახლოებით ასეთი გეგმები აქვს.

● **პირველად როდის შეხვდით ამერიკელ მოჭიდავეს?**

— 1985 წელს ერევანში. ურთიერთობას ერთმანეთში მას შემდეგ ვარკვევთ. სხვათა შორის, პირველი და ბოლო შეხვედრა ჩემი გამარჯვებით დამთავრდა და თუ მან სეულის შემდეგ მართლაც დატოვა სარბიელი, ამის მიზეზი მე ვიქნები.

● **რაშია ამერიკელის ძალა?**

— ფიზიკურად ძლიერია, სწრაფი, კარგად აქვს დამუშავებული ფეხებში შევარდნა. აქტიურია ჩოქბჯენში, წარმატებას ხშირად სწორედ აქ აღწევს.

● **ალბათ საწინააღმდეგო ილეთები გქონდათ დამუშავებული?**

— უნდა დამესწრო ფეხებში შესვლა. თუ მაინც მოახერხებდა ამ ილეთის ჩატარებას, ჩოქბჯენში უნდა დამეტოვებინა, სხვათა შორის, მესამე ქულა შეხვედრაში სწორედ ასე მივიღე, განსაკუთრებით ფრთხილად და ყურადღებით უნდა ვყოფილიყავი ჩოქბჯენში, რომ მისთვის ტრიალის ჩატარების საშუალება მომესპო.

● **როგორც გვახსოვს ჩოქბჯენი თქვენი სუსტი ადგილი იყო მუდამ?**

— დიახ და სწორედ ამიტომ მის დაუფლებას განსაკუთრებით დიდი დრო დავუთმე. ჩოქბჯენი კლასიკური სტილით მოჭიდავეთა მძლავრი იარაღია. მის სწორად და ეფექტურად დამუშავებაში დიდი დახმარება გამიწია ჩვენმა შესანიშნავმა „კლასიკოსმა“ მიხეილ სალაძემ, რისთვისაც მას დიდ მადლობას ვუხდი. ბაუმჰარტნერმა რამდენჯერმე სცადა ჩემი დატრიალება სწორედ ჩოქბჯენში, მაგრამ მომზადებული შევხვდი და არაფერი გამოუვიდა.

● **თუ გქონდათ რაიმე ილეთი ამერიკელისთვის სპეციალურად მომზადებული?**

— მწვრთნელებთან ერთად დავამუშავე ფეხების ჯვარედინი ჩავლება, სამჯერ ვცადე კიდეც მისი შესრულება, მაგრამ ვერაფრით ვერ დავატრიალე, მეტოქე ფიზიკურად ძალზე ძლიერია და სამივეჯერ ხელიდან გამისხლტა.



დავით გობეჯიშვილისა და ბრიუს ბაუმჰარტნერის ფინალური ბრძოლა მილიონობით ტელემაყურებელმა ნახა. ამიტომ მასზე საგანგებოდ არ შევჩერდებით. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ დავითმა ეს ბრძოლა პირველ რიგში ტაქტიკურად სწორად წარმართა და დამაჯერებელ გამარჯვებასაც მიაღწია — 3:1.

ხუთ შეხვედრაში ქართველ ფალავანს პრობლემები არ ჰქონია. პირველი ბრძოლა სირიელ მოჭიდავეს წმინდად მოუგო მეხუთე წუთზე, როცა ქულათა ანგარიში იყო 17:0. მერე წუთნახევარში აჯობა იაპონიის წარმომადგენელს. დასავლეთგერმანელი მოჭიდავე, დავითის მესამე მეტოქე მე-4 წუთზე მოხსნეს პასიურობისათვის. ამ დროს ანგარიში იყო 10:0 გობეჯიშვილის სასარგებლოდ. მეოთხე წრეში დაამარცხა გამოცდილი ბულგარელი ათანას ათანასოვი — 8:0, მეხუთეში — უნგრელი ლასლო კლაუზი — 10:0.

იყო დრო, როცა მძიმე წონის მოჭიდავეთა შეხვედრებში 2-3 ქულაზე მეტი არ კეთდებოდა. დღევანდელი გოლიათებისთვის, პირველ რიგში, დამახასიათებელია აქტიური ბრძოლა. დააკვირდით დავით გობეჯიშვილის ჭიდაობის შედეგებს. იაპონელთან ბრძოლას თუ არ მივიღებთ მხედველობაში (ქართველმა ფალავანმა იგი წუთნახევარში მოიგო), ოლიმპიურმა ჩემპიონმა ხუთ მეტოქეს 48 ქულა (!) „აართვა“ და მხოლოდ ერთი დაუთმო. ასეთი შედეგი დაბალი წონითი კატეგორიის ნებისმიერი ოლიმპიური ჩემპიონის დოსიეს დაამშვენებდა. ეს ფაქტი, ერთსა და იმავე დროს, მძიმე წონის ათლეტთა ტექნიკური მომზადების დონესა და დავითის სრულ უპირატესობაზე მიგვანიშნებს. ოლიმპიურ ჩემპიონს სწორედ ასეთი უდავო უპირატესობა უნდა ჰქონდეს.

ნოდარ გუგუშვილი.

ეს ფოტოები ორი წლის წინ სოფელ ხუროთში, დავით გობეჯიშვილის ოჯახში გადავიღეთ (იმ დროს ჩვენი თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრები ქალაქ ონში საბჭოთა კავშირის IX სპარტაკიადისთვის ემზადებოდა). მარცხნიდან — დავით გობეჯიშვილი მშობლებთან და ძმასთან ერთად. მომავალი ოლიმპიური ჩემპიონი და მისი მწვრთნელი გურამ სალარაძე მამაპაპურ ურემთან; ლერი ხაბელოვი და დავით გობეჯიშვილი სოფლის ბიჭებს საჭიდაოდ აქეზებენ.

ჯემალ კახრაძის ფოტოები.

ბოლოთქმა სახელდახელო კომენტარით

რეგბი

როგორც გაუწყეთ, რეგბისტთა საკავშირო ჩემპიონატის სუპერფინალის ბოლო ტურში ქუთაისის „მშენებელმა“ მონინოს სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდი დაამარცხა (16:9) და შარშან მოპოვებული ჩემპიონობა შეინარჩუნა. ამავე ტურში, შაბათს, კრასნოიარსკის „ექსკავატორტიაჟსტროიმ“ ალმაათელ არმიელთა გუნდს უმასპინძლა და გაიმარჯვა — 24:13.

გათამაშების საბოლოო ცხრილები

სუპერფინალი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ქ.
1. „მშენებელი“ (ქუთაისი)	6	4	1	1	15
2. ეტს (კრასნოიარსკი)	6	3	0	3	12
3. ასკ (ალმა-ათა)	6	2	1	3	11
4. სსა (მონინო)	6	2	0	4	10

სანუგეშო ტურნირი

5. „სლავა“ (მოსკოვი)	6	3	1	2	13
6. „ლოკომოტ.“ (მოს.)	6	3	1	2	13
7. რრკ „ელმავალი“ (თბილისი)	6	3	0	3	12
8. „ავიატორი“ (კიევი)	6	2	0	4	10

როგორც ხედავთ, ჩემპიონებმა 6-ტურიან შეჯიბრებაში მთელი 3 ქულით ჩამოიტოვეს უახლოესი მდევარი, რაც „მშენებლის“ დიდ უპირატესობაზე მეტყველებს. ჩემპიონატში დიდ წარმატებას მიაღწიეს კრასნოიარსკელმა და ალმაათელმა რეგბისტებმა: თუ აქამდე მათ უმნიშვნელოვანეს მიღწევებად საკავშირო პირველობებში დაკავებული მეექვსე და მეოთხე ადგილები ითვლებოდა, ამჯერად ამ გუნდებმა შესაბამისად ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

1983 წლიდან პირველად აღმოჩნდნენ საპრიზო სამეულს მიღმა მონინოელი რეგბისტები. ასევე პირველად ვერ მოხვდა ცხრილის ზედა ოთხეულში მოსკოვის ვერც ერთი გუნდი. თბილისელმა რკინიგზელებმა, როგორც იქნა, თავი დააღწიეს ხანგრძლივ კრიზისს და ბოლო შვიდ სეზონში საუკეთესო ადგილი დაიკავეს. რაც შეეხება კიევის „ავიატორს“, უმაღლეს ლიგაში ასპარეზობის 18 წლის მანძილზე გათამაშების ცხრილში იგი მერვე ადგილამდე პირველად ჩამოქვეითდა.

ჩემპიონატით სეზონი არ დამთავრებულა. ალმა-ათაში დღეს დაიწყება და 15 ოქტომბრამდე გასტანს საკავშირო თასის ფინალური ტურნირი „სლავას“, სსა-ს, ეტს-სა და ასკ-ის მონაწილეობით. აღსანიშნავია, რომ „სლავა“ ამ შეჯიბრებაში გადახალისებული ხელმძღვანელობით წარსდგება: გუნდს ამიერიდან სსა-სა და ქვეყნის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ევგენი ანტონოვი უხელმძღვანელებს. თასის გათამაშების შემდეგ, 23 ოქტომბერს, ალმა-ათაშივე, საბჭოთა კავშირის ნაკრები სამოყვარულო რეგბის საერთაშორისო ფედერაციის (ფირა) 1987–89 წლების ჩემპიონატის მატჩს გამართავს რუმინეთის ეროვნულ გუნდთან.

სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

7 ოქტომბერს ბაქოში შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის 22-ე ტურის გამოტოვებული მატჩი ადგილობრივ „ნეფთჩისა“ და მოსკოვის „დინამოს“ შორის. თამაში მოიგეს დინამოელებმა — 1:0. ეს ერთადერთი ბურთი 34-ე წუთზე 11-მეტრიანით გაიტანა დობროვოლსკიმ.

გააფრთხილეს დინამოელი პოზდნიაკოვი და ბაქოელი ფეხბურთელები აზიმოვი და აბუშევი.

დუბლიორები — 0:0.

ქალაქის პირველობა მინიფეხბურთში

„ბურევესტნიკის“ სპორტულ კომპლექსში გრძელდება თბილისის პირველობა მინიფეხბურთში ქალაქის უბნებს შორის. გაიმართა მეოთხედფინალური შეხვედრები: „მუხიანი“ — „ორხევი“ 21:0, „ვაკე“— „საბურთალო“-3 2:6, „ისანი“ — „მთაწმინდა“ 7:2, „საბურთალო“-2 — ვაჟა ფშაველას გამზირი 0:1.

ევროპული ტურნირების წილისყრა

6 ოქტომბერს გაიმართა ფეხბურთში ევროპის საკლუბო ტურნირების განმეორებითი მატჩები: ჩემპიონთა თასი. **„მილანი“ (იტალია)** — „ვიტოშა“ (ბულგარეთი) 5:2 (2:0), **თასების მფლობელთა თასი. „სამპდორია“ (იტალია)** — „ნორჩეპინგი“ (შვეცია) 2:0 (1:2). **უეფა-ს თასი. „ვიქტორია“ (რუმინეთი)** — „შლიემა“ (მალტა) 6:1 (2:0), პაოკ (საბერძნეთი) — **„ნაპოლი“ (იტალია)** 1:1 (0:1).

გთავაზობთ ევროპის საკლუბო ტურნირების II ტურის წილისყრის მთლიან შედეგებს.

ჩემპიონთა თასი

მერვედფინალი

„სტიაუა“ (ბუქარესტი, რუმინეთი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი, სსრკ)

„მილანი“ (იტალია) — „ცრვენა ზვეზდა“ (იუგოსლავია)

„ქსამაქსი“ (შვეიცარია) — „გალათასარაი“ (თურქეთი)

„სელტიკი“ (შოტლანდია) — „ვერდერი“ (გფრ) — „დინამო“ (ბერლინი, გდრ) წყვილის გამარჯვებული.

„ეინდჰოვენი“ (ჰოლანდია) — „პორტო“ (პორტუგალია)

„17 ნენტორი“ (ალბანეთი) — „გიოტებორგი“ (შვეცია)

„ბრიუგე“ (ბელგია) — „მონაკო“ (საფრანგეთი)

„გურნიკი“ (ძაბჟე, პოლონეთი) — „რეალი“ (მადრიდი, ესპანეთი)

თასების მფლობელთა თასი

მერვედფინალი

„როდა“ (ჰოლანდია) — „მეტალისტი“ (ხარკოვი, სსრკ)

„მეჰელენი“ (ბელგია) — „ანდერლეხტი“ (ბელგია)

„დანდი იუნაიტედი“ (შოტლანდია) — „დინამო“ (ბუქარესტი, რუმინეთი)

„ბარსელონა“ (ესპანეთი) — „ლეხი“ (პოლონეთი)

„კარლ ცეისი“ (გდრ) — „სამპდორია“ (იტალია)

„აინტრაჰტი“ (ფრანკფურტი, გფრ) — „საქარიასპორი“ (თურქეთი)

„სრედეცი“ ((ბულგარეთი) — „პანათინაიკოსი“ (საბერძნეთი)

„კარდიფ სიტი“ (უელსი) — „ორჰუსი“ (დანია)

უეფა-ს თასი

მეთექვსმეტედფინალი

„დინამო“ (მინსკი, სსრკ) — „ვიქტორია“ (ბუქარესტი, რუმინეთი)

„რეალი“ (სან-სებასტიანი, ესპანეთი) — „სპორტინგი“ (პორტუგალია)

„ჰარტსი“ (შოტლანდია) — „აუსტრია“ (ავსტრია)

„ლოკომოტივი“ (ლაიფციგი, გდრ) — „ნაპოლი“ (იტალია)

„დინამო“ (ზაგრები, იუგოსლავია) — „შტუტგარტი“ (გფრ) — „ტატაბანია“ (უნგრეთი) წყვილის გამარჯვებული.

„უიპეშტ დოჟა“ (უნგრეთი) — „ბორდო“ (საფრანგეთი)

„კიოლნი“ (გფრ) — „ანტვერპენი“ (ბელგია) წყვილის გამარჯვებული — „გლაზგო რეინჯერსი“ (შოტლანდია)

„იუვენტუსი“ (იტალია) — „ოცელული“ (რუმინეთი) წყვილის გამარჯვებული — „ატლეტიკო“ (ბილბაო, ესპანეთი)

„ველეჟი“ (იუგოსლავია) — „ბელენენსეში“ (პორტუგალია) — „ბაიერი“ (ლევერკუზენი, გფრ) წყვილის გამარჯვებული.

„ბაიერნი“ (გფრ) — „დუნაისკა სტრედა“ (ჩეხოსლოვაკია)

„დინამო“ (დრეზდენი, გდრ) — „ვარეგემი“ (ბელგია)

„ვიენა“ (ავსტრია) — „ტურუნ პალოსეურა“ (ფინეთი)

„მალმიო“ (შვეცია) — „ინტერი“ (იტალია)

„ლიეჟი“ (ბელგია) — „ბენფიკა“ (პორტუგალია)

„გრონინგენი“ (ჰოლანდია) — „სერვეტი“ (შვეიცარია)

„ნიურნბერგი“ (გფრ) — „რომა“ (იტალია) წყვილის გამარჯვებული — „სლავია“ (ბულგარეთი) — „პარტიზანი“ (ბელგრადი, იუგოსლავია) წყვილის გამარჯვებული.

შენიშვნა: პირველი მატჩები ჩატარდება პირველად დასახელებული გუნდების მინდვრებზე 26 ოქტომბერს, საპასუხო თამაშები — 9 ნოემბერს.

ვეტერანები ულოცავენ ჩემპიონებს

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, მინსკში „ტყავის ბურთის“ საკავშირო გათამაშებაში 1975-76 წლებში დაბადებულ ნორჩ ფეხბურთელთა შორის, გარდაბნის რაიონის გუნდმა „ენერგეტიკოსმა“ პირველი ადგილი დაიკავა.

ამ დღეებში გარდაბანს თბილისის „დინამოს“ ვეტერან ფეხბურთელთა გუნდი ეწვია. ჩემპიონებს გამარჯვება მიულოცეს და შემდგომი წარმატებები უსურვეს ტყავის ბურთის გამოჩენილმა ოსტატებმა. მაგრამ ზეიმი ამით არ დამთავრებულა, რაიონის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა საინტერესო ამხანაგური მატჩი გარდაბნის რაიონის „სამგორსა“ და ვეტერან ფეხბურთელთა შორის. უხვგოლიან მატჩში გაიმარჯვეს დინამოელებმა— 5:4. თბილისელთაგან გოლები გაიტანეს მ. მაჩაიძემ-2, კოპალეიშვილმა-2 და ლ. ნოდიამ. ვეტერანთა ღირსებას იცავდნენ: რ. ურუშაძე, ზ. ებრალიძე, თ. კოსტავა, გ. მაჩაიძე, მ. მაჩაიძე, ა. ილიაძე, დ. ხუნდაძე, ს. მეტრეველი, ლ. ნოდია, დ. გოგია, დ. მუჯირი, ვ. კოპალეიშვილი, გ. ნოდია ბ. მჭედლიშვილი, ნ. ხიზანიშვილი.

უნდა აღინიშნოს ადგილობრივი ხელმძღვანელობის დიდი ყურადღება, დინამოელ ფეხბურთელთა ვიზიტი გარდაბანში ნამდვილ ზეიმად იქცა.

ილია მჭედლიშვილი.

I ლიგა

9 ოქტომბერს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 38-ე ტურის მატჩები. ჩვენმა გუნდებმა შინ მიიღეს მეტოქეები.

ლანჩხუთის „გურიისა“ და რიგის „დაუგავას“ შორის ჩატარებული მატჩის შესახებ ჩვენმა ლანჩხუთელმა კორესპონდენტმა **ავთანდილ ორმოცაძემ** ტელეფონით შეგვატყობინა:

„გურია“ კვლავ ენერგიულად იბრძვის ახალი ამოცანების წარმატებით გადასაჭრელად. გუნდი ამჟამად სატურნირო ცხრილის წამყვან ჯგუფში იმყოფება და უმაღლეს ლიგაში დაბრუნების რეალური პერსპექტივები აქვს, ამიტომაც თითოეულ მატჩს მისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, მით უმეტეს, „დაუგავასთან“, რომელმაც სეზონის სტარტზე განცდილ წარუმატებლობათა შემდეგ ასევე შეძლო თავი დაეღწია დროებითი კრიზისისთვის და კვლავ შეუერთდა ლიგის უძლიერეს გუნდებს.

მაგრამ მასპინძლებმა პირველივე წუთებიდან ნათლად აგრძნობინეს მეტოქეს, რომ ისინი საბრძოლველად იყვნენ განწყობილი და თავიდანვე რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს მის კართან. ბურთის გატანის შესაძლებლობა ჰქონდათ ხლუსს, ჟორდანიას, დანელიას...

მიმდინარეობდა მე-18 წუთი, როცა რიგელებმა საჯარიმო მოედანზე წესი დაარღვიეს და მსაჯმა ა. ხოხრიაკოვმა (იოშქარ-ოლა) წამსვე მიუთითა 11-მეტრიანზე. დარტყმა ზუსტად შეასრულა ჟორდანიამ, 10 წუთის შემდეგ კი ხლუსის გადაცემა კარგად გამოიყენა კორძალიძემ და მეორედ აიძულა „დაუგავას“ მეკარე ბადიდან გამოეტანა ბურთი.

ლანჩხუთელ ფეხბურთელებს იერიშები არც შესვენების შემდეგ შეუწყვეტიათ, 68-ე წუთზე დანელიამ კარგად მიაწოდა ხლუსს და მანაც ზუსტი თავური დარტყმით დაამთავრა ეს კომბინაცია. მატჩის ბოლო წუთებზე კორძალიძემ შორეული დარტყმით მეოთხედ აიღო რიგელთა გუნდის კარი. ანგარიში 4:0 ლანჩხუთელ ფეხბურთელთა დიდი უპირატესობის ნათელი გამოხატულებაა.

„გურიამ“ მატჩი ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ქანთარია, ტყებუჩავა, ანდღულაძე, დანელია (ბონდარუკი), პარხომენკო, ცომაია, ჟორდანია (კაკილაშვილი), ხლუსი, კორძალიძე, იავორსკი (მესხი), გოგრიჭიანი.

ჩვენმა ბათუმელმა კორესპონდენტმა **გიორგი მურვანიძემ** შეგვატყობინა ადგილობრივი „დინამოსა“ და ლვოვის ასკ „კარპატის“ შეხვედრის შესახებ.

ბათუმის დინამოელთათვის ამ ტურის მატჩს საგანგებო მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან წარმატების შემთხვევაში იგი საგრძნობლად იუმჯობესებდა მდგომარეობას სატურნირო ცხრილში.

ლვოველთა გუნდი ძლიერი მეტოქეა, ამიტომ ბათუმელთათვის კარგ სტიმულად იქცა თამაშის დასაწყისი, როცა მათი რამდენიმე შეტევის შემდეგ, მე-6 წუთზე, კუთხურიდან მოწოდებული ბურთი კარგად გამოიყენა თორლაშვილმა და თავური დარტყმით გახსნა ანგარიში — 1:0.

დინამოელებმა პირველი წარმატების შემდეგ ენერგიულად იბრძოლეს საიმისოდ, რომ მეტოქისთვის არ დაეთმოთ ინიციატივა, სტუმრების კართან კვლავ იქმნებოდა სახიფათო მომენტები,

შეუპოვარი ბრძოლა მეორე ტაიმშიც გაგრძელდა, შემდგომში კი დინამოელებმა საფუძვლიანად გაამაგრეს დაცვის რგოლები და საბოლოო წარმატებამდე მიიყვანეს საქმე.

ბათუმის „დინამოს“ შემადგენლობა: ბალაძე, გოგიტიძე, ფირცხალავა, დურდიაძე, ჩიქოვანი, ჯოხაძე, მჭედლიშვილი (ათუაშვილი), თორლაშვილი, ბიგვავა, ჟვანია, მეშკოვი. მსაჯი ს. როშჩინი (კისლოვოდსკი).

ჩვენს გუნდებს ახლა სტუმრად მოუწევთ თამაში. 39-ე ტურში, რომელიც 15 ოქტომბერს გაიმართება, ლანჩხუთის „გურია“ დონის როსტოვში შეხვდება ადგილობრივ არმიელთა გუნდს, ხოლო ბათუმის „დინამო“ ვოლგოგრადში ეთამაშება გათამაშების ერთ-ერთ ლიდერს „როტორს“.

განვლილ ტურში დიდ ინტერესს იწვევდა მატჩები ლიდერთა მონაწილეობით. დუშანბეს „პამირი“ და ტაშკენტის „ფახთაქორი“ ამ დღეს ისვენებდნენ. უმაღლესი ლიგის საგზურების სხვა პრეტენდენტებმა „როტორმა“ და ცსკა-მ გამარჯვებები მოიპოვეს და ორივე გუნდმა ამას სტუმრად მიაღწია. ცსკა-მ ორჯონიკიძეში სძლია „სპარტაკს“ — 2:1, ხოლო ვოლგოგრადის „როტორმა“ ვოროშილოვგრადში დაამარცხა „ზარია“ — 1:0.

სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: „შინიკი“ (იაროსლავლი) — „გეოლოგი“ (ტიუმენი) 4:0, „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „ზვეზდა“ (პერმი) 0:0, „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) — ასკ (დონის როსტოვი) 1:5, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 0:0, „კოლოსი“ (ნიკოპოლი) — „კოტაიკი“ (აბოვიანი) 3:4, „დინამო“ (სტავროპოლი) — „კუზბასი“ (კემეროვი) 2:1.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 11 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„პამირი“	36	21	9	6	65-35	51
„როტორი“	36	21	5	10	63-31	47
„გურია“	35	20	5	10	54-31	45
„ფახთაქ.“	36	18	9	9	52-30	45
ცსკა	35	18	9	8	50-29	45
„დინ.“ სტ.	37	16	10	11	51-38	42
ასკ „კარპ.“	36	16	7	13	46-27	39
„დაუგავა“	36	16	6	14	51-47	38
„ტავრია“	37	13	12	12	33-37	38
ასკ რ.	35	13	10	12	48-51	36
„კოტაიკი“	37	14	7	16	49-70	35
„სპარტაკი“	37	13	8	16	47-51	34
„შინიკი“	37	13	8	16	38-42	34
„როსტსელ.“	36	13	8	15	52-57	34
„გეოლოგი“	36	14	5	17	38-48	33
„მეტალურ.“	36	10	12	14	25-35	32
„დინ.“ ბ.	35	13	5	17	35-40	31
„კუზბასი“	36	9	13	14	26-37	30
„ზარია“	36	10	8	18	42-51	28
„ყუბანი“	37	10	8	19	31-49	28
„კოლოსი“	36	9	6	21	28-55	24
„ზვეზდა“	36	6	12	18	28-61	24

საქართველოს პირველობა

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის 31-ე და 32-ე ტურების შეხვედრები. „მალაროელი“ (ჭიათურა) — „არმაზი“ (მცხეთა) 3:1, „მეშახტე“ (ტყიბული) — „ქართლი“ (გორის რ-ნი) 0:0, „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „შადრევანი“ (წყალტუბო) 4:3, „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 2:2, „დინამო“ (გაგრა) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 2:1, „ივერია“ (ხაშური) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 3:0, „სპარტაკი“ (ცხინვალი) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 2:2, „სულორი“ (ვანი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 5:4, „დინამო“ (ზუგდიდი) — „მადნეული“ (ბოლნისი) 2:1, „საპოვნელა“ (თერჯოლა) — „სქური“ (წალენჯიხა) 1:0, „მალაროელი“ (ჭიათურა) — „მეშახტე“ (ტყიბული) 2:0, „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „არმაზი“ (მცხეთა) 3:1, „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „ქართლი“ (გორის რ-ნი) 4:2, „დურუჯი“ (ყვარელი) — „შადრევანი“ (წყალტუბო) 1:0, „ამირანი“ (ოჩამჩირე) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 2:1, „ივერია“ (ხაშური) — „კოლხეთი“ (ხობი) 1:1, „სპარტაკი“ (ცხინვალი) — „დინამო“ (გაგრა) 1:0, „საპოვნელა“ (თერჯოლა) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 2:1, „სულორი“ (ვანი) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 5:3, „დინამო“ (ზუგდიდი) — „სქური“ (წალენჯიხა) 3:2, „მადნეული“ (ბოლნისი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 5:1.

უეფა-ს სამდივნოს ცნობით

როგორც უეფა-ს სამდივნო იუწყება, უკვე მიღწეულია შეთანხმება ევროპის საკლუბო ტურნირების ფინალური მატჩების ჩატარების შესახებ. ჩემპიონთა თასის ფინალური მატჩი გაიმართება 24 მაისს ბარსელონაში, თასების მფლობელთა თასისა — 10 მაისს ლოზანაში. უეფა-ს თასის ორი ფინალური მატჩის ჩატარების დღეებია 3 და 17 მაისი.

II ლიგა

გაიმართა II ლიგის III ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი ტურის შეხვედრები. „ნარტი“ (ჩერკესკი) — „დრუჟბა“ (მაიკოპი) 0:2, „ტორპედო“ (ტაგანროგი) — „ლუჩი“ (აზოვი) 3:1, „მაშუკი“ (პიატიგორსკი) — „მჭრცხალი“ (მახარაძე) 1:0, „სპარტაკი“ (ნალჩიკი) — „კოლხეთი“ (ფოთი) 6:1, „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) — „ოლიმპია“ (ლენინაკანი) 0:0, „სპარტაკი“ (ანაპა) — „ლორი“ (კიროვაკანი) 2:0, „დინამო“ (სოხუმი)) — „ვოლგარი“ (ასტრახანი) 3:1, „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „ურალანი“ (ელისტა) 2:0, „სპარტაკი“ (ოქტემბერიანი) — „სპარტაკი“ (ტამბოვი) 1:3, „ისკრა“ (ერევანი) — „მეტალურგი“ (ლიპეცკი) 1:1.

„სპორტპროგნოზი“, 42-ე ტირაჟის პროგრამა (15-16 ოქტომბერი)

			პროგნოზი		
	სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (პირველი ლიგა)				
1.	ასკ „კარპატი“ (ლვოვი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე)	15.X	70	20	10
2.	ასკ (როსტოვი) — „გურია“ (ლანჩხუთი)	15.X	30	40	30
3.	„ზვეზდა“ (პერმი) — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი)	15.X	10	50	40
4.	„გეოლოგი“ (ტიუმენი) — „როსტსელმაში“ (როსტოვი)	15.X	20	60	20
5.	„კუზბასი“ (კემეროვო) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი)	15.X	50	10	40
6.	„კოტაიკი“ (აბოვიანი) — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი)	15.X	80	10	10
7.	„ყუბანი“ (კრასნოდარი) — „პამირი“ (დუშანბე)	15.X	60	10	30
	სსრ კავშირის ჩემპიონატი ჰოკეიში (უმაღლესი ლიგა)				
8.	„დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (რიგა)	15.X	80	10	10
9.	„დინამო“ (მინსკი) — ასკ (ლენინგრადი)	15.X	10	10	80
10.	„კრილია სოვეტოვ“ (მოსკოვი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი)	16.X	30	20	50
11.	„ტორპედო“ (გორკი) — „ტორპედო“ (იაროსლავლი)	16.X	60	20	20
12.	„ტრაქტორი“ (ჩელიაბინსკი) — „სოკოლი“ (კიევი)	16.X	30	20	50
	სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ლიგა)				
13.	„ტორპედო“ (მოსკოვი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	16.X	50	40	10

ეკრანზე და ეთერში

ცენტრალური ტელევიზია. 11 ოქტომბერი. დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „ტორპედო“ (მოსკოვი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) და „დინამო“ (კიევი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — **19.25 (2).**

საქართველოს ტელევიზია. 11 ოქტომბერი. დედოფლის გვირგვინისათვის — **21.45.**

საქართველოს რადიო. 11 ოქტომბერი. სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დინამო“ (მინსკი) — „დინამო“ (თბილისი). II ტაიმის რეპორტაჟი მინსკიდან — **21.00.**

„სპორტპროგნოზი“

მე-40 ტირაჟის შედეგები
(1-3 ოქტომბერი)

1—1, 2—2, 3—1, 4—X, 5—2, 6—2, 7—2, 8—1, 9—1, 10—1, 11—1, 12—1, 13—1.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

„სპორტლოტო“

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტლოტოს“ მორიგი, მე-40 ტირაჟების შედეგები, რომელიც 2 ოქტომბერს გაიმართა.

„სპორტლოტო 6 45“-დან. გაიყიდა 1.504.370 ვარიანტი.

ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (25) მოგება 2644 მანეთია, ოთხისთვის (1644) — 41, სამისთვის (30.717) — 3.

„სპორტლოტო 5 36“-დან. გაიყიდა 15.320.711 ვარიანტი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (30) მოგება 10 000 მანეთია, ოთხისთვის (5 700) — 134, სამისთვის (175700) — 7.

მე-40 ტირაჟების მოგებები გაიცემა 17 ოქტომბრიდან 17 ნოემბრის ჩათვლით.

* * *

გუშინწინ მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“ მორიგი, 41-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: 10 (წყალბურთი), 19 (სათხილამურო რბოლები), 22 (წყალში ხტომა), 24 (ხელბურთი), 30 (ძალოსნობა), 34 (ბალახის ჰოკეი).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 3 (ბობსლეი), 7 (კლასიკური ჭიდაობა), 13 (სამთო-სათხილამურო სპორტი), 20 (ჯაფრონსნობა), 25 (საციგაო სპორტი).

რედაქტორის მოადგილე
უ. ჭიჭინაძე.

ინდექსი 66486. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსი, ხაზარაულის ქ. 29. უე 05562

11/X 9882